ნებისმიერი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტს (რომანი) თავისი არქიტექტონიკა გააჩნია. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. დასაწყისს **ინკიპიტს** უწოდებენ. ინკიპიტი შეიძლება ერთი, რამდენიმე წინადადებითა თუ აბზაცით იყოს გამოხატული. მას გააჩნია **ინფორმაციული** და **მაინტრიგებელი** (მონუსხვის) ფუნქციები. თუ ნაწარმოების სათაური, პარატექსტი, მკითხველს და ავტორს შორის კავშირურთიერთობაში განმსაზღვრელი არ ხდება, ამ ფუნქციას თავის თავზე ინკიპიტი იღებს.

ინკიპიდმა საკმარისი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მკითხველს, დააინტერესოს იგი. ხშირად, ნაწარმოების პირველივე სტრიქონებში მწერალი ამჟღავნებს თავის ჩანაფიქრს.

ზოგადად, ინკიპიდს სამი მნიშვნელოვენი ინფორმციის მიწოდება შეუძლია, რომელიც, შესაძლოა, მკითველს და ავტორს შორის კავშირს განსაზღვრავდეს. ამ ინფორმაციას **ტოპოსი** ეწოდება.



უცნობის ტოპოსი პერსონაჟებს წარადგენს (განურჩევლად იმისა, დაწვრილებით თუ გაკვრით არის ნაწარმოების პერსონაჟი მოხსენიებული – მთავარი თუ მეორეხარისხოვანია).

დროის ტოპოსი მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში მოთხრობილი ამბის (მომავალში ძირითადი, უმნიშვნელო, ჩართული ამბის) მოქმედების დროს გვამცნობს.

ადგილის ტოპოსი მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში მოთხრობილი ამბის (მომავალში ძირითადი, უმნიშვნელო, ჩართული) მოქმედების ადგილს გვამცნობს.

ზოგადად, ინკიპიტი მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტის გაწბილებას ან გამართლებას ემსახურება. საკმარისია გავიხსენიოთ გ. ფლობერის რომანი – „მადამ ბოვარი". სათაურისადან გამომდინარე, მკითხველი ვინმე მადამ ბოვარის შესახებ ამბავს ელის. ნაწარმობის დასაწყისის კი შარლ ბოვარის შესახებ გვაწვდის ცნობებს. ამ უკანასკნელს და მადამ ბოვარისთან შორის კავშირის შესახებ მკითხველმა არაფერი იცის, ამიტომ მკითხველი ინტერესდება.

ინკიპიტი შეიძლება იყოს **სრული** და **არასრული.**

სრულია ინკიპიტი, სადაც ყველა ტოპოსია წარმოდგენილი.; არასრული, სადაც ერთ-ერთი ტოპოსი აკლია.

თუ ინკიპიტი სრულია იგი უფრო მეტად ინფორმაციული ხაისათისაა. არასრული იკიპიტის შემთხვევაში მკითხველის დაინტერესება მეტია.